ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 7.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1912 ᲬᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1) ქართველ სამღვდელოების საყურადღებოდ—ეპისკ. დავითისა; 2) ორი სურათი ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ცხოვრებიდამ (ლექსი)—ილ. ფერაძისა; 3) სიტყვა ლოდაბერიძის დასაფლავებაზე—დეკ. კ. ცინცაძისა; 4) დიდი რამ არის ვინც იცის წაკითხვა წასაკითხისა—დეკ. ი. წერეთლისა; 5) სამღვდელოების ცხოვრებიდან—სოფლის მღვდელისა; 6) ღვთიური მებაღე—მღვ. იოანე ლუკიანოვისა; 7) კვირიდამ-კვირამდე.

მიიღება ხელის მოწერა

1912 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲧᲝᲚᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗ)

ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ.

კაზაკოვის ქუჩა, № 17.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

წლიურად — 4 მანეთი ექვლგან	სამი თვით — 1 მანეთი.
ნახევარი წლით 2 მანეთი.	ერთი თვით — 2 აბაზი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თავიდგან 2 მანეთი და 1 ივნისს 2 მანეთი.

განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ქართველ საღვთისმეტყველოების საეურადღებოდ

ეკლესიისმსახურების დაცვა და იმასა ადგენას საჭიროება

—

მამანო! გთხოვთ პატივი მცეთ და ეს ჩემი თქვენდამი მიმართვა თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ და საქმეს ჩაუკვირდეთ.

ჩვენ, ქართველები, ღვთის - მსახურებით თავს ვერ მოვიწონებთ; ეკლესიაში იშვიათად დავიარებით, ხშირ და ხანგრძლივ ლოცვით თავს არ ვიწუხებთ, ტაძრების განშვენებაზე არ ვზრუნავთ, სასულიერო პირთა ჯეროვანი პატივისცემა არა გვაქვს და საზოგადოდ საეკლესიო საქმეებში გულ-გრილობასა და მცონარებას ვიჩენთ. ამ სამწუხარო მოვლენის დამნახველს უნებლიეთ დაებადება აზრი, ვითომც ჩვენ სუსტ სარწმუნოებისანი ვიყვნეთ, არ გვქონდეს ცხოველი სიყვარული ღვთისადმი; და მართლაც რო ასე ფიქრობენ ჩვენზე უცხოელები. ჩვენი ერი, როცა მას მარჯვე დრო ჰქონდა, ცოტად თუ მოსვენებული იყო მტრებისაგან, მხურვალე მორწმუნე იყო; აგებდა იგი მრავალ, დიდ და მშვენიერ ტაძრებსა და მონასტრებს, არამც თუ თვის სამშობლო ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც კი, პალესტინაში, სინაის და ათონის მთებზე, და, რაც უფრო გასაოცარია, აშენებდა ეკლესიებს და სავანეებს ისეთ მიუვალ ადგილებზე, სადაც ახლა ჩვენ არამც თუ რამე შენობის აგება, არამედ ერთხელ ასვლაც კი გვიძნელდება; ის თვის ადგილ-მამულს ეკლესიებსა და მონასტრებს უხვად სწირავდა. მეთოთხმეტე საუკუნიდან დაწყებული მდგომარეობა ქართველებისა შეიცვალა; მონგოლები, თათრები, ლეკები, ოსები, თურქები, სპარსელები და სხვანი ცეცხლითა და მახვილით იკლებდენ და ანადგურებდენ მათ, განსაკუთრებით უკანასკნელები. თავზარდაცემულები თითქმის მუდამ გახიზნული იყვენ. ყოველთვის მტრის თავზე დასხმის ლოდინში იყვენ, მუდამ იმას ფიქრობდენ, თუ როგორ შეგებებოდენ მტრებს, განედევნათ იგინი და დაეცვათ თვისი ეროვნება და სარწმუნოება. ცხადია, რომ გამუდმებულ ომში მყოფ ქართველებს არც დრო და არც საშვალება არ ჰქონდათ ეზრუნათ თვისი ცხოვრების რელიგიურ მხარის განვითარებაზე, როგორც საზოგადოდ თვის ყოფაცხოვრების გაუმჯობესობაზე. ეკლესიები ანუ მთლად დაქცეული, ანუ გაძარცულ - დაცალიერებული იყო. წირვა-ლოცვა შიდ იშვიათად სრულდებოდა; ამიტომ ხალხი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო იშვიათ ღვთის-მსახურებითა, წირვა-ლოცვის ხანდისხან მოსმენითა, და იგი თვის რელიგიურ გრძნობებს გულშივე იმარხვიდა. ასე ხდებოდა რაოდენიმე საუკუნის განმავლობაში, და ბოლოს დროს ეს მოვლენა ჩვენ ერს შეეისისხლხორცა, ჩვეულებად გადაექცა, და ეს ჩვეულება დავიმკვიდრეთ ჩვენ მამა-პაპათაგან. ახლა, როცა ჩვენ მყუდრო ცხოვრება გვაქვს, მტრებისგან თავისუფალი ვართ, დრო არის ვიფიქროთ რელიგიურ განვითარებაზე, ჩვენ უნდა დავეჩვიოთ გონებისა და გულის ხშირად აღპყრობასა ღვთისადმი ლოცვაში, თვის სულის კეთილ განწყობილებათა ცხადყოფასა გარეგან ნიშნებითა და მოქმედებითა, რადგან ესეთ გარეგან გამოხატვას ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ის აცხოველებს და აძლიერებს სულიერ მდგომარეობათა, და კიდევ მას კეთილი ზეგავლენა აქვს გარშემო მყოფ პირებზე, აქეზებს მათ ღვთის მსახურებისადმი. ამ საქმეზე ჩვენ განათლებულ მოძღვრებს თავდაპირველათვე უნდა ეზრუნათ, მათ უნდა შეეგნოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებრივ ცხოვრებაში რელიგიის გარეგან მხარესა, ხშირ წირვა-ლოცვის მოსმენას, მონასტრებში სიარულს, პარაკლისისა და პანაშვიდის გადახდას, სასწაულთ მოქმედ ხატების ხალხში მიღებას და სხვათა და სხვათა, რომ ყველა ამაებით სარწმუნოება უფრო ცხოველდება, ზნეობა ფაქიზდება, გონება და გული ადამიანისა უფრო ძლიერად იწყებს აღმაფრენას ღვთისადმი. მაგრამ საუბედუროდ ისინი, ანუ შეპყრობილ არიან მცონარების სენითა, ანუ ვატაცებულ არიან დამახინჯებულ ლიბერალური აზრებითა და გაიძახიან, რა საჭიროა ხშირად ხელის ქნევა, მუხლის მოყრა;

ცხოვნება გარეგნობაში კი არ არის, არამედ სულის სიწმიდეში, კეთილ-ზნეობაში, ღმერთი შინაგან განწყობილებათა უყურებს და არა გარეგან მოქმედებებს, ის თხოულობს, რომ ჩვენ მას ვემსახურებოდეთ სულითა და ჭეშმარიტებით. ასე მეტყველობენ ჩვენი მოძღვრები და იმას კი არ ამჩნევენ, რომ ხალხი ხელიდან ეცლებათ. კვირა-უქმე დღეს ჩვენი ხალხი ეკლესიაში ყოფნას სახლში და დუქნებში ლაზღანდარობას ამჯობინებს, იმერეთში კიდევ ნახავთ ორიოდე კაცს ეკლესიაში, ქართლ-კახეთში კი... ჩვენ ინტელლიგენციაზედ ხომ ლაპარაკი არ არის საჭირო, სწავლა-განათლება და ეკლესიაში სიარული აბა როგორ შეეთანხმება ერთმანერთს. ეკლესია რო იქცეოდეს, ყურადღებასაც არვინ მიაქცევს; საეკლესიო ნივთები რო ლპებოდეს ყურსაც არვინ გაანძრევს. ჩვენი ერის დაუდევრობა რელიგიურ ცხოვრებაში იქამდის მიდის, რომ მართლაც ეჭვი შეგვიათ მის ქრისტიანობაზე. ჩვენი მოძღვრები არ უნდა ივიწყებდენ იმას, რომ ჩვენი ხალხი ახლა საფრთხილო მდგომარეობაშია; ის იღვიძებს გონებრივ ძილისაგან და ხარბად ეწაფება ყოველივე ახალს, რაც კი შემოდის ჩვენში განათლებულ ქვეყნებიდან; ხოლო ყველამ იცის, რომ უფრო ადვილად და სისწრაფით ვრცელდება ხალხში სარწმუნოების და ქრისტიანობის წინააღმდეგი თეორიები. ამას გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ხალხი მოყვარულია კრიტიკოსობისა და ადვილად შეიძლება, რომ იგი კრიტიკულად მოეპყრას ეკლესიასა და სარწმუნოებას. ამიტომ თუ ჩვენმა მოძღვრებმა ეკლესია და მისი წესები ხალხს დროითვე არ შეაყვარეს, მაშინ ის ანტირელიგიურ და ანტიქრისტიანულ მოძღვრებათა ზეგავლენით სარწმუნოებაზე და ეკლესიაზე ხელს აიღებს. ამ გვარად კეთილგონიერება მოითხოვს ჩაკვირვებას ჩვენი ერის რელიგიურ მდგომარეობაში, გამორკვევას, თუ რა საშუალებით შეიძლება ღვთის-მსახურების აღდგენა, თუ რა ღონისძიებით შესაძლოა ხალხის მიზიდვა ეკლესიისადმი. დავასახელოთ ზოგიერთი საშუალებები.

1) მწყემსის მიერ გულ-მხურვალედ აღსრულება თვის მაღალ სამსახურისა, მისი კეთილზნეობა და მართებული ყოფა-ქცევა. თუ მოძღვარი მთელის თვის არსებით დაკავშირებულია ღმერთთან, აღგზნებული კეთილ-შობილ მისწრაფებითა, უყვარს ეკლესია, წირვა-ლცვა და ყოველივე ეკლესიური, დაახლოვებულია ხალხთან, მის საჭიროებას თვის საჭიროებათ სთვლის, მეცადინობს მის წინ მსვლელობაზე, მისი მონაწილეა ჭირსა და ლხინში, შეძლებისადაგვარად ეწევა მას ნივთიერად, —მაშინ ის მიიზიდავს ხალხს თვისადმი და თანაც შეაყვარებს მას ეკლესიას, დააჩვევს მას შინაგან რელიგიურ მდგომარეობათა შესაფერ გარეგან მოქმედებებით გამოხატვასა. ასეთი ღირსეული მწყემსები რო გამრავლდენ ხალხში, საჭიროა, რომ იმ დაწესებულებაში, რომელიც მღვდლობის კანდიდატებს უშვებს, საქმე ისე იყოს დაყენებული, რომ მისგან მართლა და კეთილი მწყემსები გამოდიოდენ. სამღვდლო სკოლის მოსწავლეებს უსათუოდ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს თვისი დანიშნულება, მათ თვალ წინ უნდა ედგასთ მომავალი სამსახური—მღვდლობისა და ამ საგანს უნდა მიმართონ თვისი აზრები, გრძნობები, სურვილები და თვისი ძალნი; ისინი უნდა ცდილობდენ საკმაოდ მოემზადონ ამ ასპარეზისათვის, შეითვისონ ის ცოდნა, რომელიც მწყემსობის თანამდებობას პირდაპირ შეეხება, შეიძინონ ის ცოდნა, რომელიც მათ ხელს შეუწყობს და გაუადვილებს სამსახურს. მათ უნდა აღაღორძინონ თვის სულში სარწმუნოება, აღაგზნონ სიყვარული ღვთისა და მოყვისადმი, განაფაქიზონ თვისი ხასიათი, განაკეთილ-შობილონ თვისი ყოფა-ქცევა; მათ უნდა შეიყვარონ ეკლესია და მისი წესები. ასეთი მიმართულება უნდა იქნეს სასულიერო სასწავლებელში. არა სასულიერო, არა ეკლესიური მიმართულება მოწაფეებში უნდა იქნეს დევნული, ყმაწვილები, გატაცებულნი სარწუნოების და ქრისტიანობის საწინააღმდეგო აზრებითა, თუ მათზე არავითარი შეგონება, რჩევა-დარიგება არ გადის, უნდა განიძეონ სასწავლებლიდან. ასეთი მოქცევა არ იქნება სასტიკი და უსამართლო. გარნა უსამართლოება იქნება, რომ მაგ. საბალ-

სნო შკოლაში მოსწავლე წუნობდეს იმ პრაქტიკულ საგნებს, რომლებსაც მას ასწავლიან, არ თვლიდეს მას საჭიროდ, არ სწავლობდეს მათ, და ეს ვაუბატონი გამოაბრძანონ? სწორეთ ესევე უნდა ითქვას სასულიერო სასწავლებლის შეგირდებზედაც. არა სასულიერო მიმართულებისაზე. სამღვდლო სასწავლებელი სპეციალური დაწესებულებაა, მას მიზნად აქვს აღზარდოს მღვდლობის კანდიდატები, და ამიტომ შიგ მართლადა სამღვდელო ადამიანები უნდა სწავლობდენ. ვისაც მღვდლობა არ სურს, ეკლესია და ყოველივე ეკლესიური ეჯავრება, და შფოთავს, არ ურჩევნია მოშორდეს იმ ადგილს, რომელიც მას გულს უხუთავს და აშმაგებს, და მონახოს ისეთი ადგილი, სადაც იგი სულით მოისვენებს და განიხარებს? აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ ისა, რო მოსწავლეებში ეკლესიურ მიმართულების გამტკიცებისათვის საჭიროა აღმზრდელები მოწაფეებს მამა-შვილურად ექცეოდენ, აწოდებდენ მათ ყოველივე იმას, რაც მათ ეკლესიისადმი სიყვარულს განუცხოველებს, და არიდებდენ მას, რაც მათ განარისხებს და სარწმუნოებასა და ეკლესიაზე გულს შეუცვლის. აი ამისთანა სამღვდლო შკოლა უნდა დაარსდეს. ახლანდელი სემინარია ხომ მართლა სასულიერო სემინარია არაა და იმისგან სამღვდლო კანდიდატები არ გამოდიან. ამ ეპარქიაში ორი სასულიერო სასწავლებელი კმარა, და ერთი, სახელდობრ თფილისისა, სამღვღლო შკოლად გადავაკეთოთ ან და ფერისცვალების მონასტრის ნაცვლათ სამღვდლო შკოლა დავაარსოთ, მონასტრები ხომ ისედაც ბევრია და ამას გარდა იგი მართლა არ მონასტრობს*).

ეპისკოპოსი დავითი.

(შემდეგი იქნება.)

*) ეს წერილი წიგნაკათ გამოუცია მის მეუფებას და ჩვენ შემთხვევით ნაგვივარდა ხელში. ვბეჭდავთ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნაკი ჩვენი მკითხველების უმეტესობას არ მოუწყენდა.

რედ.

ორი სურათი ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ცხოვრებიდან*).

(ვუძღვნი ყოვლადსამღვდელო გიორგის, იმერეთის ეპისკოპოზს.]

I.

უბრალოდ მორთულ სუფთა ოთახში
ჰკიდია ხატი ქრისტე მაცხოვრის;
იმის წინ ბჟუტავს ზეთის კანდელი,
გამომცემელი მკრთალი სინათლის.
ნათელი ესე სუსტი ცახცახით
ოთახის კედლებს ეთამაშება
და ხატისა წინ დაჩოქილს მოხუცს
სპეტაკ სახეზე დაეფინება.
ოხრავს* მოხუცი, კვნესის და გმინავს;
ღრმად არის მისი გულის ნაღველი,
მაცხოვრისაკენ აღიპყრობს ხელებს
თვალთაგან ცხარე ცრემლისა მღვრელი.
მთლად გათეთრებულ იმის გრძელ წვერსა
ზედ ეპკურება მისი ცრემლები,
და მწარე ნაღვლით შეზავებული
ისმის შემდეგი მისი სიტყვები:
„ოცდახუთ წელსა ვემსახურები,
ძეო ღვთისაო, იმერთა სამწყოსო,
იმის ზნეობითს განვითარებას
ვწირავ ყოველ წუთს და ყოველსა დროს.
მიყვარს ეს სამწყსო შენის სისხლითა
განბანილი და გამოსყიდული,
პირველწოდებულ ანდრიას მიერ
შენივე (წავლით განშუქებული;
აქვე ვიხილე წუთის სოფელი,
და მისივე ვარ მე ღვიძლი შვილი;
ჩემსა საკუთარს ვარმად მიმაჩნის
მისი ჭირი და გულის ტკივილი.
ურწმუნოება-უსასოებას
მუდამ ვსდევნიდი თავ-გაწირული;

*) ამ ლექსის შინაარსი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც 24—25 წლის წინ ყოვლადსამღვდელო გაბრიელი აპირობდა რუსეთში გადასვლას, თავმობეზრებული ადასგვარ ღაბეზღებით და ცილისწამებით უფრო კი თვისს თანამემამულეთაგან.

ი. ფ.

მსურდა მენახა იმერთა მხარე,
სწავლა-ცოდნითა დაშვენებული.
არ მეშინოდა ცილისწამების,
არცა სხვადასხვა მაბეზღარისა;
ყოველსა მტერსა პასუხს ვაძლევდი,
რადგან მფარვიდა მე ძალი ღვთისა...
ვნატრობდი სიკვდილს ჩემს სამშობლოში,
იმის წიაღში განსვენებასა,
და ქართველ ძველი მოღვაწეების
საფლავთა შორის „დამკვიდრებასა“.
და მაშინ, ოდეს ჩემსა სიბერეს
განუმზადებდი მყუდროობასა
და მოველოდი ჩემის ნაშრომის
სამართლიანსა დაფასებასა,
მტრის შურმან დამცა... ცილისწამებით
მუქარით, ლანძღვით გამიტყდა გული.
ვატყობ მყობადში ვეღარ იგემებს
სიტკბოებასა აქ ჩემი სული.
ვერვის დავსწყეველი... მხოლოდ დავსტოვებ
საყვარელს სამწყსოს ცრემლისა მღვრელი;
მის განშორებით მოხუცს უდროოდ
დამიდნობს გულსა მწვავი ნაღველი.
დაღონებული მისი ვერხედვით
საუცხოოში გარდავიცვლები
და ჩრდილოეთის ცივი ცის ქვეშე
შავ ბნელ სამარეს მივებარები.
სიკვდილის წინაც ჩემი სამშობლო
ჩემისა ლოცვის საგნად იქნება;
მის სიყვარული, იმისი ტრფობა
მე იქ საფლავშიც კი თან ჩამყვება!..“
ასე იტყოდა. მოხუცებული
მღვდელმთავარი და თან ქვითინებდა;
ჰაეროვნებით ძველისა აღთქმის
წინასწარმეტყველს მოგვაგონებდა.
გამწყრალი თვისთა შვილთა ურჩობით
ამავე შვილებს ღმერთს ავედრებდა...
თანაც ყოყმობდა... საყვარელ სამწყსოს
დასატოვებლად ვერ იმეტებდა.
აკვირდება ის ჯვარცმულ მაცხოვარს,
ეკლის გვირგვინს ქვეშ თითქოს მღიმარეს,
აკვირდება და რაღაც ახალ
ძალა ეძლევის მოხუც მღელვარეს.
ეს ძალა იმას უმხნევებს გულსა,
მისსა სიმხნესა აღაფრთოვანებს..
ნუ თუ დასტოვებს მართლა სამშობლოს
და სამწყსოს თვისას მით დაობლებს?!

II.

„რად გავიფიქრე ჩრდილოეთს წასვლა,
სად დამეკარგა მტკიცე მხნეობა,
რისთვის შემიპყრო უსასოებამ
და ჩამესახა სულმოკლეობა?!...
ვერ მივატოვებ საყვარელს სამწყსოს,—
აღარ მსურს აღარ, წავიდე სხვაგან,
გინდა დამკუწონ აქ ლუკმა-ლუკმად
და გინდა ჯვარზე ცმულ ვიქმნე მტრისგან...
ტურფა გელათო! შენა ხარ ძარღვი
ქართველი ერის წარსულ დიდების,
კერა ხარ მათი ეროვნებისა
და წინდი მისის აღორძინების..
ყოველსა ქართველს შენი მოლოცვა
ერთგზის მაინცა ენატრებოდა;
და სხივი შენის განათლებისა
მთელ საქართველოს ეფარებოდა...
ორი მზე ქართველთ ბედნიერების:
დავითი დიდი და „თამარ წყნარი“
მუდამ გეტრფოდენ და შენს წიაღშიც
ნახეს სამუდმო თავშესაფარი.
დიდო გელათო წმინდა სავანევ
უკვდავი დავით აღმაშენებლის,
შენ შემივედრე, როს აღვსრულდები.
მადიდებელი შენის სახელის!
შენსა წიაღში, დავითის გვერდით,
მეც მიწყალობე ერთი სამარე;
იქ ჩამიხუტე შვილივით გულში
და შენი მიწაც გადამაყარე!“
ასე იტყოდა იმავ ხატის წინ
ცოტა ხნის შემდეგ მოხუცებული
და ეტყობოდა, თავ-განწირვისა
ღრმა გრძნობით იყო ის გამჭვალული....

ილ. ფერაძე.

სიტყვა,

თქმული 1912 წლის იანვრის 3 ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიაში ნ. ბ. ლოლაბერიძის ანდერძის აგების წინ.

კაცად-კაცადი იქმოდენ კეთილსა თავისითა ხელითა, რათა აქუნდეს მიცემად ვის იგი უხმდეს.
(1 ფეს. 4,28),

მიუწერს წმიდა მოციქული პავლე ქრისტიანეთა და მით გვასწავებს, რომ პატიოსანი შრომით მოპოებული ქონება ქრისტეს მორწმუნემ უნდა არა თუ მოიხმაროს დასაკმაყოფილებლათ თვისთა მოთხოვნილებათა, არამედ გაუნაწილოს კიდეც მათ, ვის იგი უხმდეს, ე. ი. ვინც მოკლებულია საშუალებას, მოიპოვოს პური არსობისა საკუთარის შრომითა. ეს სწავლა მოციქულთა დროინდელ ადამიანთათვის ახალი და თითქოს გაუგებარიც იყო, ვინათგან წარმართობას ქველმოქმედება არა სწამდა და დაჩაგრულთა ბედ-იღბალი ნაკლებად აწუხებდა. ღარიბ-ღატაკის შეხვედრა ცუდ ნიშნად იყო მიჩნეული და სიბრალულის ნაცვლად გამოიწვევდა ხოლმე ზიზღსა და შიშის ზარსა. ამ ცრუმორწმუნოებას და გულქვაობას განათლებული საზოგადოების წარმომადგენელნი თავისებურად ასაბუთებდნენ კიდეც: რასაცა გაიღებ გლახაკისთვის, იმას აკლებ შენს თავსა, ხოლო მიმღებს ხელს უწყობ განაგრძოს თავისი ტანჯული სიცოცხლე, რომელიც, რაც ადრე შესწყდება, მით უკეთესიაო.

ეს სიბნელით მოცული მსოფლიო მხედველობა ქრისტეანობამ უარ-ყო, აღიარა რა ადამიანის მკვდრეთით აღდგომა და საიქიო ცხოვრებისათვის ამ ქვეყნადვე სამზადისის საჭიროება. ამ სწავლით აქაურ სიცოცხლეს განსაზღვრული ღირებულება მიეცა, რათ განაც საიქიოსათვის მომზადება ადამიანს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როცა საკაოს მის სიცოცხლეს და საიქიოსათვის სამზადისს ძლიერი რამ დამაბრკოლებელი მიზეზი არ გადაეღობება. ამ გვარ მიზეზად ხორც-შესხმულის არსებისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაითვალოს სადგურის, სამოსლის და სულისა და ხორცის საზრდოს უქონლობა,

მკვდრეთით აღდგომის მქადაგებელთა მყისვე ათხოვეს ყური ამ გარემოებას დი გარკვევით აუხსნეს წარმართთა და ურიათაგან მოქრისტეანებულნ, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ნივთიერად დაქვეითებულთ თანამორწმუნეთ: ჰხსნილ-ჰყავ ხელი შენი ძმისა მის შენისა ნაკლულევანისათვის (მეორე სჯულთა 15, 11); ნუ ვიყვარებით სიტყვითა ხოლო, გინდ ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა (1 იოან. 3, 17); სახმართა წმიდათასა ეზიარებოდეთ (რომ. 12, 13); ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ (გალატ. 6, 2), მოწყალებას გაიღებდეთ, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით (2 კორ. 9, 7), არამედ მხიარულებით (რომ. 12, 8). ამ მოციქულთა დარიგებამ გამოიღო ჯეროვანი ნაყოფი: ქრისტეანებმა იწყეს შეგროვება თავიანთის წვლილისა და დადება მისი ფერხთა თანა მოციქულთასა ნაკლულევანთა საჭიროების აღსავსებელად.

მოციქულთა შემდეგ, რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ფართოვდებოდა და ვითარდებოდა მათ მიერ დაწყებული და ნაკურთხი წმიდა საქმე: მორწმუნეთა საზოგადოებამ მალე შეიგნო ურთიერთას სიმძიმის ზიდვის და სიყვარულის ძლიერება და მხნედ შეუდგა შეუძლებელ წევრთა ხორციელთა თუ სულიერთა საჭიროებათა დაკმაყოფილებას. საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებას ყველა ცდილობდა და იძლეოდა, რის მიცემაც შეეძლო: ზოგი ცოდნას და შრომას, ზოგი კი ნივთიერ საშუალებას. მოქმედების ასპარეზს წარმოადგენდნენ ეკლესიები და მონასტრები, რომელთა კედელთა შორის თავს იყრიდნენ საუკეთესო მამულის შვილნი.

გავიდნენ დრონი და მონასტერ-ეკლესიებმა დრჰკარგეს დაუშრეტელი წყარო ცხოვრებისა, — მორწმუნეთა მიერ შეწირული მამულები და ამის გამო იძულებულნი გახდნენ ნაკლულევანთა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა დაეთმოთ კედელთა გარეშე მყოფთ ქრისტეანეთათვის, რომელთაც იმავე სიყვარულით განმსვეალულთ შეადგინეს სხვა და სხვა სა-

ქველმოქმედო და განმანათლებელნი საზოგადოებანი. ასე იყო ხსვაგან და ასევე მოხდა ჩვენშიაც.

წინაშე ჩვენსა მდებარე ცხედარი ნიკოლოზ ღოღობერიძისა მოწამეა მისი, თუ საუკეთესო შვილნი ჩვენის ქვეყნისა რაოდენად გრძნობდნენ საჭიროებას ჩვენის ერის ქონებრივად და გონებრივად დაქვეითებულის ნაწილისათვის ზრუნვისას და რა ღონისძიებას ხმარობდნენ ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. განსვენებული ნიკოლოზი ერთი იმ მცირე რიცხოვან პირთაგანია, რომელთაც ქართულის დრო გამოშვებითის გამოცემის საქმე მტკიცე ნიადაგზედ დააყენეს და დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მით ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქეს მშობლის ერის შვილებს სწავლის და ცოდნის შეძენა. იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტეანე, მთელს თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში იქმოდა კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქუნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს, და დასასრული ამა ქვეყნად მოღვაწეობისა დააგვირგვინა თავის ქონების დიდის ნაწილის შეწირვით განმანათლებელ საზგადოებათათვის. ეს უხვი შეწირულება, რამდენათაც თვალსაჩინოდ ჰყოფს განსვენებულის ნიკოლოზის სულის ქრისტეანულ განწყობილებას და ზნეობრივ სიფაქიზეს, იმდენადვე ავალებს ჩვენს განმანათლებელ საზოგადოებას, მხნედ მოღვაწეობას.

ამისათვის, შევსთხოვოთ, საყვარელნო, უფალს, რომ მან, თანახმად მისის მცნებისა, მოძმეთათვის მოწყალე სული მონისა მისისა ნიკოლოზისა შეიწყალოს და სიტკბოებით განასვენოს, ხოლო ჩვენს განმანათლებელ საზოგადოებათა მაჰსცეს ძალი და სიმხნე ნიკოლოზ ღოღობერიძისთანა მამულისშვილთა მოლოდინის გამართლებისა. ამინ.

დეკ. კ. ცინცაძე.

„დიდი რამ არი, ვინც იცის წაკითხვა წასაკითხვისა.

ილია ჭავჭავაძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა უკანასკნელ კრებაზე სხვათა შორის აღიძრა კითხვა იმაზე, რომ ხალხი ეკლესიაზე აღარ დაიარება და რა საშეალება ვიხმაროთ, რომ ხალხი მივიზიდოთ ეკლესიაშიო. ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა ამის შესახებ.

ყველა დასახელებული მიზეზები საპატიო იყო და ყველას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ მე მხოლოდ ამ წერილში ერთ საკითხს მივაქცევ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, და აი რას. საქართველოს ეკლესიაში, რომ დღეს მწიგნობრობა, მგალობლობა, და ტიპიკონის ცოდნა დაკნინებულა, ამას ყოველი ჭეშმარიტი საქართველოს მორწმუნე შვილი გრძნობს. აიღეთ თუნდა ქალაქის და თუნდ სოფლის ეკლესია. რა გესმისთ აქ? სრულიად გადაგვარებული კითხვა, გალობა და კილო. მღვდლის და დიაკვნის ხმა სრულიად არ უდგება ერთი მეორეს: ერთი მთისკენ, მეორე ბარისკენო, რომ იტყვიან, ისეა; მათთვის არც კილო სუფევს და არც ხმის შეწყობა. როდესაც მღვდელი საიდუმლოს ლოცულობს, დიაკონი ვაი ვუის გაიძახის უშნოთ და ულაზათოთ, თითქო სიზმარში არისო. რასაკვირველია ყველაზე არ ითქმის ეს, მაგრამ უმრავლესობა მოუმზადებელია და გულგრილათ ეკიდება საქმეს. ტიპიკონს ხომ ყოველი ეკლესიის კრებული თავის სურვილზე ასრულებს და კიდეც რომ უნდოდეს, რიგიანათ შესრულება, რომელიმე მღვდელმოქმედებისა, მაინც არ ძალუძს, რადგან მოუმზადებელია. კარგათ მომზადებული ქართულ მგალობელთა გუნდი ხომ არც ქალაქებშია და არც სოფლებში.

დიდი ხანი არ არი, რომ ერთი საპატიო პირი დაასაფლავეს. ორმოცდაათამდი მღვდელი დაესწრო წესის აგებას, დაიწყეს მუხლამუხლათ კითხვა წესის აგებისა და რა აღმოჩდა! ამოდენა სამღვდელოებაში, ორმა თუ სამმა წა-

იკითხა კურთხევანი ხეირიანათ, დანარჩენი ძლიერ კოკლობდა.

თუმც მეცხრამეტე საუკუნეში თანდათან დაკნინდა საეკლესიო მწიგნობრობა - მგალობლობა, მაგრამ მაინც ბევრი იყო სამღვდელოთა შორის, რომელთაც ზეპიწევნით იცოდენ საღმრთო წერილი და მწიგნობრობა - გალობა. მაგ. ნიკოლოზ არქიმანდრიტი, ნიკიფორე არქიმანდრიტი, იესე დეკანოზი გიორგაძე, დეკანოზები ქუთათელაძე ნიკოლოზ, ვასილ, დეკანოზი დავით წერეთელი, მღვდელნი სიმონ და ოქროპირ ჩარკვიანები, დევიძე, დავით კაპანაძე და სხვანი. ეს უკანასკნელი ჩემი ამხანაგი იყო და უნდა აღვიარო, რომ მისი მკაფიო ჯავარიანი ხმა, მშვენიერი კილო კითხვა - გალობისა, საღმრთო წერილის კარგად ცოდნა დღესეც ყურში ჩამძახის და როცა ეკლესიაში შევდივარ ყოველთვის შენდობას უთვლი. დღეს თუმცა სემენარიელები ბევრია სოფლათ თუ ქალაქათ, მაგრამ, ზოგიერთების გამორიცხვით, ყველა მათგანი ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებებს მოკლებულია და ეს მათი ბრალი არ არის, რადგან სასწავლებელში მათ ეს არ უსწავლიათ. სად სწავლობდენ წინეთ საღმრთო წერილს, მწიგნობრობა-მგალობლობას? მონასტერში, სადაც უმაღლეს ხარისხამდი იყო ესე ვითარი აყვანილი, მაგრამ დღეს აღარც მონასტრებშია რიგიანი მწიგნობრობა და აღარც სოფელში. როგორ შეიძლება, რომ ძველი სახელოვანი მწიგნობრობა-გალობა და ტიპიკონის ცოდნა აღსდგეს ისევ საქართველოს ეკლესიაში? როგორც ამბობენ ალისუბნის ორკლასიანი შკოლა გელათის მონასტერში გადააქვთ. თუ ეს მართალია, აი ამ შკოლაში უნდა გაიხსნას კურსები საღმრთო წერილის კარგათ კითხვისა, გალობისა და ტიპიკონისა, სადაც ყოველი სამღვდელო, სადიაკვნო და სამედავითნო პირმა, თუნდა სემენარიელიც იყოს ეს, უნდა გაათავოს ეს კურსები. მასწავლებლები ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა უნდა მიიწვიონ კარგათ მცოდნე ხსენებული საგნებისა და რაოდენიმე ათეული წლის შემდეგ ყოველივე გასწორდება, საქართველოს ეკლესიაში გავიგონებთ მშვენიერ საღმრთო წერილის კითხვა-გალობას, რაიცა მსმენელებს მოიზიდავს ეკლესიაში. ასე უნდა იქნეს გახსნილი კურსები საღმრთო წერილისა ქართლ-კახეთის ეპარქიაშიაც.

სხვათა შორის დღეს ზოგიერთები იმ აზრის არიან, რომ ჩვენი ნასწავლი ესრედწოდებული ინტელიგენცია ეკლესიას გაურბისო, მაგრამ მათში კიდო მრავალი პირია, რომლებიც დიდი სიამოვნებით მოისმენენ წირვა-ლოცვას, ოღონდაც იყოს რიგიანათ შესრულებული. ამის მაგალითი მრავალია უწინ და ეხლაც. აბა ვინ იყო უწინ ილია ჭავჭავაძეზე ღრმად განსწავლული, რომლის სიტყვებითაც ეს ჩემი წერილი დავიწყე, მაგრამ როგორც მისი ნაწერებიდანაც სჩანს ის იყო ღრმად მორწმუნე. დიმიტრი ყიფიანის გუსვენებაზე ყოველადსამღვდელო ალექსანდრეს ეწირა, წირვა ქართულად შეესრულებია მრავალი სამღვდელოების თან დასწრებით. წირვა მოუსმენია ილია ჭავჭავაძეს და მთავარდიაკვნის კარგარეთელის სახარების წაკითხვას აღტაცებაში მოუყვანია, რომელსაც „ივერიაში“ ვრცელი წერილი უძღვნა ზემოთმოყვანილი სიტყვებით. რამოდენიმე ხნის შემდეგ აკაკი წერეთელს მოუსმენია წირვა იმავე მთავარდიაკვნის თანამწირველობით და იმასაც მოსწონებია მისი ხმა და კილო. აკაკიმაც უძღვნა წერილი, მგონია „კრებულში“, ამ საგანს. მაგრამ ეს ადარებს თავის წერილში კარგარეთელს, განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის არქიდიაკონს ჯანელიძეს, თუმცა მოსწონს კარგარეთელი მაგრამ ჯანელიძის არჩდილს უწოდებს. მეც მახსოვს ჯანელიძე და მისი ჯავარიანი ხმა და წირვაც მომისმენია, აგრეთვე კარგარეთელისთვისაც მრავალ გზის მიყურებია წირვა, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ თუმცა კარგარეთელს მძლავრი ტკბილი და უხიწო ხმა აქვს, მაგრამ ქართულ წირვაში მას გამოუდის რუსული ხმის ბგერა, რაიცა არ შეშვენის ქართულ წირვა-ლოცვას. სხვა მთავარდიაკვნებზე რომ ვიქონიოთ მსჯელობა, მათი ქართულათ წირვა, ხმა და სახარების კილო ძლიერ დაშორებულია ქართულ კი-

ლოს, ჯავარიან და მკაფიოთ გამომეტყველ ხმას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეიძლება ზოგიერთებს კიდეც ეწყინოსთ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ მოყვარეს პირში უძრახე და მტერს ზურგს უკანო. მონდომება, თორემ ყოველივე გასწორდება და ილია ჭავჭავაძის სიტყვები ქება-ქებათა იქნება ჩვენი სამღვდელოები სათვის.

დეკ. ი. წერეთელი.

სამღვდელოთა ცხოვრებიდან.

ნაშუშა კაცთა გულქვაობისა.

მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!

დ. გურამაშვილი.

საზოგადოების არც ერთ ნაწილში პოეტის ზემოთ მოყვანილი სიტყვები ისე სიცხადით არ მართლდება, როგორც სასულიერო წოდებაში. ღმერთმა დაგიფაროსთ, რომ ამ წოდებაში ვისიმე ნაკლულევანება გემხილებიოსთ. რაც უნდა საფუძვლიანი იყოს მხილება, სრულებით არ მიიკარებს ის, ვისაც შეეხება, და მის მაგიერათ, რომ შეიკდიმოს და გასწორების გზაზე დაადგეს, ერთ ალიაქოთს ასტეხს: ესა და ეს კაცი მემტერება და ცდილობს საზოგადოების თვალში ცილის წამებით დამამციროსო. და არა თუ მარტო ცუდ საქმეში მხილებული, ხშირათ მთელი მისი მოკეთეები აღშფოთდებიან სრულიად სამართლიანი მხილებისათვის. ამასწინეთ ზემო იმერეთის ერთ „კეთილმოწესეს“ უწესო მოქმედებები უკიჟინეს. როგორც სიმართლეს მოკლებულმა, პასუხის გაცემა გაზეთისავე საშუალებით მარტო ვერ შეძლო, რაისათვისაც შეკრიბა მთელი საკეთილმოწესოს სამღვდელოება და შეერთებული ძალით შეთხზული წერილით უნდოდა თავის გამართლება; მაგრამ წარმოიდგინეთ, არც მ. მ. კეთილმოწესისა და მისი ხელქვეითი მღვდლების შეერთებული ძალით შედგენილი საპასუხო წერილი იქმნა დაბეჭდის ღირსათ ცნობილი ულმობელი რედაქციისაგან, თუმცა წერილი საბუთად, როგორც ამბობენ, დღესაც ინახება კეთილმოწესის არხივში. რატომ ვერ გრძნობენ მ. მ. კეთილმოწესე და მისი ხელქვეითები, რომ სამართლიანი მხილება მტერობა კი არა, მოყვრობა არის, თუ კი მას მივიღებთ და გასწორების გზაზე დავადგებით? განა ხალხის გენიოსობის ნაყოფი ანდაზაც ამას არ ამტკიცებს, როდესაც გვირჩევს, მოყვარეს პირში უზრახეო... ამ მოსაზრებით, გინდა ბევრიც მაგინონ. აქვე უნდა მოვიყვანო ერთი მაგალითი შეუბრალებლობისა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც ერთი წოდებაში.

წასული 1911 წლის დეკემბერში ქ. ქუთაისში იყო იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. ჩემდა საუბედუროთ, შემთხვევით ერთ კრებაზე დავესწარი და კაცთა გულქვაობის ისეთი სურათი ვნახე, რომელმაც გული დამიკოდა და სული ალმიშფოთა. კრების დარბაზში, სადაც ორმოცამდე მღვდელი იქნებოდა, ერთი შავით შემოსილი შუათანა ხნის დედაკაცი შემოვიდა. ეტყობოდა ასეთი კრების ნახვა ამ დედაკაცისაგან პირველი შემთხვევა იყო და ამიტომ ის დარცხვენით ერთ ადგილას აიტუზა. როგორც სამოსელი, ისე მისი ნაღვლიანი ნახევრად დაბურვილი სახე უსიტყვოდაც ცხადყოფდენ, რომ მას დიდი უბედურება უნდა დასტეხოდა თავზე, უდიედესი ნუგეში უნდა დაკარგოდა ამ ისედაც სიმწარით სავსე წუთისოფელში. თავჯდომარის კითხვაზე, თუ რისთვის მობრძანებულა, დედაკაცმა მორცხვათ, თითქოს პირში ნერწყვი უშრებაო, მოახსენა კრებას: „მე, თქვენი ჭირიმე, სერაფიონ ჩიხლაძის უბედური ცოლი ვარ; არავითარი ცხოვრების სახსარი არ მაქვს და არ ვიცი რით შემოუარო წვრილ შვილებს; შეხედეთ ჩემ სისაწყლეს და ალმომიჩინეთ რაიმე შემწეობა!! თავმჯდომარემ ალუთქვა თხოვნის განხილვა და უბრძანა გარეთ გასვლა. თავჯდომარემ კრებას წინადადება მისცა საკითხი ფეხზე ადგომით გადაეწყვიტათ, ე. ი.

ვინც შესაძლოთ თვლიდა გარდაცვალებული მღვდლის სერაფიონ ჩიხლაძის ქვრივის თხოვნის შეწყნარებას, ის ფეხზე უნდა ამდგარიყო. ღმერთი შეეწიოსთ, დეპუტატების უმეტესობა მყის ფეხზე წამოდგა, მაგრამ ერთი ცნობილი „კეთილ-მოწესე“ დეკანოზი, რომელიც მტრედისებური უმანკოება-გულკეთილობისათვის თავის ერთგული ქვეშემრდომი მღვდელებისაგან რამოდენიმეჯერ არაჩვეულებრივათ დაჯილდოებულ იქმნა! არა თუ თითონ არ აბრძანდა, პირიქით, ჯერ მის მახლობლათ მდგომი ხელქვეითი მღვდლები დააჯინა ანაფორაში დაწევით და მერე ამ უკანასკნელებმა, რაკი თავისი ბრძანებლის სურვილი გაიგეს, საჩქაროთ აამოძრავეს ხელნი, ბაგენი და თვალნი, რა საშუალებითაც ბლომათ ფეხზე მდგომნი დააჯინეს. ამის ნაყოფი კი ის იყო, რომ დათვლის შემდეგ დამჯდარი მეტი აღმოჩნდა და ქვრივი უნუგეშოთ დარჩა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რა უნუგეშო შეიქმნებოდა საწყალი ქვრივის ისედაც უნუგეშო მდგომარეობა, როდესაც გაიგებდა, რომ მას ყურადღება არ მიაქცია იმ ადამიანთა კრებამ, რომელთაგან მეტი იმედი და საბუთი ქონდა შებრალებისა. მაგრამ ნურც ასე უნუგეშოთ დავტოვებთ ჩვენი თანაძმის გაჭირვებულ ცოლშვილს. იმედია მომავალ კრებაზე მ. მ. დეპუტატები ისევ გაიხსენებენ ქვრივის ვედრებას და შეძლებისამებრ კიდეც დაკმაყოფილებენ მას. ჩვენ ყველას უნდა ვაძლევდეთ მაგალითს მოყვსის შებრალებისას ჯერ ქრისტიანულისა და მერმე უბრალო ადამიანური გრძნობის მიხედვით. უკანასკნელ შემთხვევაში ის მაინც გვახსოვდეს, რომ არავინ სიკვდილისა და გაჭირვებისაგან დაზღვეული არ ვართ. და, ვინ იცის, ჩვენი ცოლშვილიც ხსენებული მღ. ცოლშვილის მდგომარეობაში არ ჩავარდება. კარგი იქმნებოდა, რომ ბედკრული საკითხი იმერეთის სამღვდელოებისათვის სამარხი კასსის დაარსების შესახებ დროზე სასურველათ დაბოლოებულიყო. მაშინ ხომ ჩიხლაძის ქვრივიც რამოდენიმედ მაინც ნივთიერათ უზრუნველყოფილი იქმნებოდა და არ დასჭირდებოდა ასე უნაყოფოთ ხვეწნა-ვედრება სამღვდელოების წინაშე.

სოფლის მღვდელი.

ღვთიური მებალე.

(წმ. ფოკა. ხსენება 22 სექტემბერს.)

ქრისტიანების პირველ დროს, როდესაც წარმართები ჯერ კიდევ სდევნიდნენ ქრისტეს მორწმუნეებს, მცირე აზიის ქალაქ სინოპში სცხოვრებდა პატიოსანი მებალე, სახელად ფოკა. ის იყო კაცი ღარიბი, უბრალო, უსწავლელი და შრომის ცხოვრებას ეწეოდა.

ახალგაზდობაში იმას შეხვდა მემკვიდრეობით ქალაქის მახლობლად, გზის გვერდზე. მიწის ნაჭერი. ადგილი იყო პატარა და მივარდნილი; მიწა—უნაყოფო, ადგილ-ადგილ ქვით სავსე, ზოგგან კიდევ—ბუჩქნარი. არც სახნავად და არც საძოვრად იგი არ ვარგოდა. რაღაც უდაბური ადგილი იყო.

ნაცნობები დასცინოდენ:

— მოგვილოცნია სამკვიდრებელი! ეხლა მებატონე გახდი. ხომ არ აიყვან მოურავს?

ფოკა არ თაკილობდა.

— საქმე იმაში კი არ არის, რამოდენი მიწა გვაქვს. არამედ იმაშია, რამოდენა შრომას გაუწევთ მას. მე პატარა კაცი ვარ, დიდი ძალ-ღონე არა მაქვს,—ამიტომ ცოტაც მერგო. სახარებაში ნათქვამია: „ერთს მიეცა ხუთი ტალანტი, მეორეს—ერთი, თვითეულს ძალისაებრ მისისა“. ჩემი ძალისათვის საყოფია ეს პატარა მიწაც; ნეტავი ამას მოუვარო.

და ფოკაც სცდილობდა მოვლას. მიწის შემოსავლით ცხოვრება არ შეიძლებოდა, ამისთვის იმან სხვა საქმეც გაიჩინა; სხვის საქმეებზე მუშაობდა; ხოლო თავისუფალ დროს თავის მიწას ახმარებდა: ასუფთავებდა ქვებიდან, ბუჩქნარებს ჰკაფავდა. შემოდგომობით მიდიოდა ტყეში, აგროვებდა ჩამოცვივნულ ფოთლებს; გზაზე ჰკრეფდა პატივს; ყველა ამას აყრიდა თავის მიწას და ბარავდა.

სამი-ოთხი წლის შემდეგ მიწა გასწორდა, გასუფთავდა, განოყიერდა. ფოკამ ღობე შემოარტყა მას, და შიგ ბალჩა გააშენა. ბოსტნეულობა მოვიდა მართლაც საუკეთესო. მწვანი-

ლეულობით გამოკვება შეიძლებოდა მთელ წელიწადს.

ფოკა ეხლა მთლად მიეცა თავის მამულს. დაუწყო გაშენება ნაყოფიერ ხეებს, ხილის ბუჩქებს. კარგად უვლიდა მათ, რწყავდა, ასუფთავებდა ბალახიდან. ხეები გაიზარდენ და მისცეს დიდი მოსავალი. ფოკა რგავდა კიდევ თანდათან ახალ ხეებს, და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს უდაბური ადგილი გადაიქცა საუცხოვო ბაღად.

ბუჩქებსა და ხეებს შუა შრომის მოყვარე ფოკა რგავდა ყვავილებს, და ბაღი უნებლიედ იზიდავდა თავისკენ ყველა გამვლელ - გამომვლელს.

ბევრი მგზავრი ჩერდებოდა ლობესთან და შეტრფიალებდა ყვავილებსა და მშვენივრად ჩამწკრივებულ ხილის ხეებს. გულკეთილი ფოკა სალამს აძლევდა ხოლმე ყველას, დიდი სიამოვნებით დაუწყებდა საუბარს, თავაზიანათ შეიწვევდა ბაღში, რომ ახლო დაეთვალიერებიათ ყვავილები, ხან გაუმასპინძლდებოდა სიცხეში მშვენიერი ხილით, ხან ყვავილებს აჩუქებდა.

„ეს ჩემი არ არის, ღვთისაა“,—ამბობდა ის. ღმერთი უგზავნის ყოველივე ამას ხალხს სასიხარულოთ და მოსახმარებლათ: საუცხოვო ყვავილებსაც და გემრიელ ხილსაც. დედა-მიწის გულში ღვთისაგან ჩადებულია დიდი ძალები. ისინი მხოლოდ უნდა გაშალო და ნაყოფიერებით აგავსებენ.

— უფრო კიდევ მომეტებული მადლიანი ძალებია ჩანერგული ღვთისაგან ადამიანის გულში,—გადადიოდა ფოკა კაცის ცხოვრებაზე. —დაუფასებელი განძია ჩადებული ყოველი ჩვენგანის გულში. განძი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება არც ერთ მეფის საუნჯეში,

— ცოტა სარგებელია ამ განძისგან,— ეუბნებოდენ ფოკას.—როგორღაც ვერა სწვდება ხალხი ამ განძს. სჩანს, ძრიელ ღრმათაა შენახული. უთუოდ შეხება არ შეიძლება იმისი.

— შეხება ბარემ შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ გვინდა შევეხოთ,,—დარიგების კილოთი განაგრძობდა ფოკა.—ჩვენ სულ იმასა ვცდილობთ მივიღოთ რამე, და არა გავიღოთ. ვფიქრობთ, ცხოვრება რითიმე გარეგანათ გავამშვენიეროთ, და არა ჩვენი სულის სიკეთით და სიმართლით. ალმასებს და ბრილიანტებს რა ხელოვნურად ვსჩარხავთ, მთელი ქარხნები არსებობენ ქვების სათლელი, ხოლო ჩვენი სულის მარგალიტებს კი ტალახში ისე ვტოვებთ. უბრალო გაწმენდაც კი არ გვინდა მათი, არამც თუ გაჩარხვა.

მსმენელები უკვირდებოდენ ასეთ ლაპარაკს. ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ზოგიერთი მოდიოდა ბაღში არა ყვავილების და ხილისათვის, არამედ ფოკას სიტყვების მოსასმენელათ.

შესჩიოდენ, ცხოვრება გაძნელდა და სული გვეხუთებაო.

— თქვენ, ჩემო მეგობრებო, ნუ ფართოვდებით!—ალერსიანად ამშვიდებდა თავის სტუმრებს ფოკა.—თუ ვიწროობაა ცხოვრებაში, მაშ თქვენ უნდა მოქუჩდეთ. ამის ნაცვლად კი ჩვენ სულ ვფართოვდებით. სულ იმასა ვცდილობთ მეტი მიწა შევიძინოთ. სხვებს ვუჩივით; ვთხოულობთ, რომ იმათ დაგვითმონ, ჩვენ კი უფრო იქით მივიწევთ. ამნაირათ, ყველანი ვფართოვდებით, ერთმანეთს ვავიწროვებთ, ამიტომაა ვიწროობა და ძნელი ცხოვრება. სივიწროვეა ხალხისათვის, იმიტომ, რომ ადამიანის სულში ადგილი აღარ არის ღვთისათვის. ბევრი რამეებით არის ამოვსებული კაცის სული. ეტყვი კაცს:

— ღმერთი უნდა გახსოვდეს, უნდა ლოცულობდე.

გიპასუხებენ:

— სადღა მცალიან ლოცვისთვის? არა მცალიან. მუშაობაში და დავიდარაბაში ყელამდინ ვარ ჩაფლული. ვილას ცხელა ლოცვისათვის?!

და ამნაირათ: რაიმე მანქანების გაკეთებისათვის, ტყვილის მოგონებისათვის, მთელი საათობით ლანძღვა - გინებისათვის,—ყველა ამაებისთვის არის დრო; ხოლო ლოცვისათვის, ღვთის მოგონებისათვის, თავის ცხოვრებაზე ჩაფიქრებისათვის—არა სცალიანთ. მთელ დღე და

ღამეში ერთ წამს ვერ მოიცლიან ამისთვის.

დაუწყებ ლაპარაკს:

— სიმართლეზე უნდა ვფიქრობდეთ, და არა ანგაარებაზე, ყველას სიკეთეზე, და არა მარტო თავისაზე.

პასუხად გესმის:

— სადა გვაქვს ჩვენ თავი ამ ცხოვრებაში სიმართლეს გამოუდგეთ?

— კიდევ გამოდის უბედურობა: არა აქვს ჩვენში ადგილი ღვთის სიმართლეს. ვიწროთაა იგი. თავისი ცხოვრება ხალხმა მთლათ ბოროტი უსამართლობით გაავსო. და რა თავისუფლათ, მსუბუქათ და სიხარულით შეიძლებოდა ცხოვრება! აბა წარმოიდგინეთ, აქ, სწორეთ აი ამ ადგილზე, მე რა მქონდა? უდაბური ადგილი, ქვა, ქვიშა, ძეძვნარი! ხოლო ეხლა რა არის? თითონ თქვენ ხედავთ. ეგევეა ცხოვრებაშიც. მომეტებულად გაანოყიერეთ იგი; შეაგროვეთ მეტი სიკეთე.

— თქვენ, ახალგაზდებო, — მიჰმართავდა იგი ყმაწვილებს, რომლებიც მიდიოდენ მასთან ყვავილებისთვის, — თქვენ თითონ ყვავილები ხართ. თქვენ კეთილი, სუფთა, ახალი სული გაქვთ, გაუფთხილდით მას, ნუ დააგლიჯავთ ფოთლებს, შეინახეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში კეთილ-სუნნელება ახალგაზდობისა. მანამ ყვავილი ახალია,—მას კარგი სუნი უდის; როდესაც დაჭკნა და დალპა, მაშინ იგი სიმყრალეს უშვებს. გაუფთხილდით და შეინახეთ სულის სიახლე.

ამ საუბრების შემდეგ, ბევრს ყვავილებთან და ხილთან ერთად მიჰქონდა ბაღიდან მარცვლები სიკეთისა, თესლი ახალი აზრების და გრძნობებისა. ხალხი თანდათან უახლოვდებოდა ბრძენ მებაღეს და თანდათან იყვარებდა. ხალხი ხედავდა. რომ ფოკა ბევრს მუშაობს, და მომეტებულად სხვებისთვის, მინამ თავისთვის. რასაც მოიყვანდა თავისი მძიმე შრომით, ნახევარს აძლევდა სხვებს, დანარჩენს თუ გაჰყიდდა, იმასაც მომეტებულ ნაწილს აძლევდა ღარიბებს.

— შენ შენს თავზე იფიქრე! — ეუბნებოდენ ფოკას ზოგიერთნი. — სულ სხვაზე და სხვაზე ზრუნავ.

— მე ვფიქრობ ჩემ თავზე, როგორ კეთილად შევასრულო ჩემი საქმე, ჩემი სამსახური,—დამშვიდებით უპასუხებდა ფოკა. — როგორ შეიძლება არ ვიფიქრო ამაზე? ყველამ უნდა ვიფიქროთ. მე ჩემზე, შენ შენზე, მან თავის თავზე, როგორ უნდა ვიცხოვროთ. ცხოვრება,—ეს ხომ ღვთის ბაღია და ჩვენ ყველანი მასში მებაღეები ვართ. ჩვენი ბაღის გვერდზე დადის ხალხი, და აბა რასა სუნთქავს იქიდგან? რას ხედავს ჩვენში? რით სარგებლობს?

— ჩვენ ამ საგანზე კი არ გელაპარაკებით! — ეუბნებოდენ მოსაუბრენი. — ჩვენ ვამბობთ, როგორ იცხოვრებ, როცა დაბერდები, როდესაც აღარ შეგეძლება მუშაობა ბაღში? ვის მიაბგები კარს მაშინ, თუ შენ თითონ არ გექნება რამე მოგროვებული სიბერისთვის?

— წავალ სხვასთან, უფრო ახალგაზდასთან, ვისაც შეძლება ექნება და ვინც თავის მამულს ისე უყურებს, როგორც ღვთის ბაღს.

— აი, მაგალითად, შენთან მოვალ!—მიმართა ფოკამ ერთ იქ მყოფ ყმაწვილს.—ნუ თუ შენ ერთ ლუკმა პურს დაიშურებდი, თუ მე მშიერი მოვიდოდი? ყმაწვილმა დაუფიქრებლათ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, არა.

— ჰო და, აი ხედავ?—განაგრძობდა ღიმილით ფოკა. მაშ რატომ მომავალის გამო არ ვაკეთოთ აწმყო?

— უარი რომ გითხრან?—მკაცრად შენიშნა ვიღაცამ,—წარმოვიდგინოთ, რომ შენ ჩემთან მოხვედი, პურსა მთხოვ, მე-კი გეუბნები შენ: „მომშორდი იქით, შენთვის მე პური არა მაქვს.“

— შეიძლება ესეც მოხდეს. ბაღში ყოველივე ხე ნაყოფს არ იძლევა. ზოგჯერ მიდიხარ ხესთან ვერ ჰპოულობ მაზე ნაყოფს, და ცარიელი ბრუნდები უკან. სამაგიეროთ არის სხვა ხეები ბაღში, რომლებიც მოგცემენ ნაყოფს. მით მომეტებულად უნდა ვიფიქროთ ღვთის ბაღზე. აქაც ყოველთვის მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც მოგცემენ შენ ნაყოფს თავიანთი მოსიყვარულე სულისას.

ამნაირათ, მართალი ფოკას წყნარი, მოსი-

ყვარულე სიტყვები ადამიანის გულს ხვდებოდენ. ხალხმა თანდათან გაიგო იმისგან ქრისტე მაცხოვრის სახარების სწავლა, ირწმუნეს სიტყვა—ღვთისა და მოინათლენ.

ადგილობრივ მოხელეებს ვერ ეპაშნიკებოდათ ეს. ქრისტეს მოღვრება-ცხოვრების შესახებ ვერ ეთანხმებოდა მათ შეხედულობას, და ამიტომ იგი საშიშრათ მავნებელათაც ეჩვენებოდათ იგი. შეატყობინეს იმ ქვეყნის უფროსს. მან ბძანება გასცა მოეკლათ ფოკა, როგორც გამავრცელებელი „მავნე“ ქრისტიანობრივი მოძღვრებისა.

სინოპის მოხელეებმა კარგათ იცოდენ, რომ ფოკა დიდი პატივცემული იყო ყველა მეცნიერთაგან, ამიტომ ეშინოდათ. რომ არ შეეტყობინებიათ მისთვის ეს გადაწყვეტილება, და ან განგებ არ გაეპარებიათ იგი. ამიტომ იმათ ჩუმათ გაგზავნეს ფოკას უცნობი მხედრები, მის დასაჭერათ.

მხედრები გვიან საღამოთი გამოვიდენ ქალაქიდგან და გაემგზავრენ, რომ დამე მოესწროთ ფოკასთვინ, ფოკა შემთხვევით თითონ შეხვდა იმათ მინდორში და ჰკითხა:

— საით მიდიხართ ასე გვიან, კეთილო ადამიანო!

— ფრინველის დასაჭერათ,—გაიცინეს მხედრებმა.

— ფრინველისა?.. რომლისა?—გაკვირვებით ჰკითხა ფოკამ;—და რათა ხართ თქვენ ასე ბევრნი?

— ბევრნი?—უფრო კიდევ მოუმატეს სიცილს მხედრებმა.—ჩვენი ფრინველი განსაკუთრებითია; ერთი ვერ დაიჭერს

— სად გინდათ ის დაიჭიროთ?

— აქვე, ახლოს. დიდი გზის ახლოს ერთ ბაღში, ფოკა ჰქვიან. არ გაგიგონია შენ ის? ჩვენ გამოგზავნილები ვართ მის კისრის მოსაგრეხათ. უნდა დავიქიროდ და აქვე დავსაჯოთ.

ფოკა შეკრთა.

— ვიცი მე ფოკა. მხოლოდ რათ გინდათ მისი დაღუბვა?

— ძალიან მაღლა გალობს,—განაგრძობდენ სიცილს ბრიყვი მხედრები.—ძილს უფროხობს... აბა წაგვიყვანე იმასთან, თუ იცი ის.

— წავიდეთ,—უთხრა ფოკამ,—და წაიყვანა სალდათები მინდვრებზე თავის ბაღისკენ. მიიყვანა უკანა კარებთან, გააღო კარი და შეუშვა მოულოდნელი სტუმრები.

— დრო დაგვიანებულია, ჩემო მეგობრებო,—უთხრა იმან იმათ.—თვენ შეიძლება დაიღალენით, მოგშივდათ. ხომ არა გნებავთ მიირთვათ რამე, რაც ღმერთმა მოგვცა. ფოკასთვის ნუ შეწუხდებით. თავდები ვარ, ის ვერ წაგივათ. თქვენ იმას წაიყვანთ, როცა კი გინდათ.

სალდათებს გაუხარდათ მიპატიჟება, დასხდენ ბაღში, ხოლო სასიკვდილოთ განმზადებულმა ფოკამ საჩქაროთ გაუშალა ვახშამი თავის მტარვალებს. მიუტანა მათ თაფლი, თეთრი პური, მწვანილი და ხილი.

როდესაც მხედრები დანაყრდენ, ფოკამ სთხოვა მათ:

— ღამე აქ დარჩით ჩემთან; დილაზე მე მოგიყვანთ ფოკას; ეხლა კი თქვენც დაისვენეთ, და მეც რამდენიმე საათი მომეცით მოსვენება. დაიჯერეთ ფოკა თქვენი იქნება დილაზე ადრე. გათენებამდის უკვე ბევრი დრო აღარ არის დარჩენილი.

მხედრები დათანხმდენ. ფოკამ გაუმართა მათ სუნნელოვანი ბალახიდგან რბილი ლოგინი, და ისინიც ღრმა ძილს მიეცენ. ამასობაში მართალი ფოკა წავიდა თავის ბაღში, გაფურჩქნილ ვარდის ბუჩქის ძირში გასთხარა საფლავი, და დაიწყო ლოცვა:

— უფალო, ღმერთო ჩემო! შენ გამოგზავნე ჩემს გულში მარცვლები შენის სიმართლისა, და უხვად აღმოაცენე იგინი! ეხლა შენ ჰგზავნი ცელს ასაღებად ცხოვრების მინდვრიდგან მწიფე თავთავისა და შესატანად შენს ბეღელში. იყვეს შენი ნება, და იყვეს კურთხეულ სახელი შენი მთელ ქვეყანაზე ამიერიდგან და უკუნისამდე! ქება-დიდება შენ! მიიღე შენ საკურთხეველზე ჩემი მდაბალი ლოცვა, ხოლო სული ჩემი—შენს ზეციურ ბაღში. შენ გამომგზავნე მე ქვეყანაზე, ეხლა მიწოდებ შენთან. მოვდივარ უფალო, მოვდივარ!..

ირაერაჟა კიდეც. აღმოსავლეთის ცა წითლად დაიფარა.

— დგება დილა, ახალი დღე, ჩემთვის კი ახალი ცხოვრება,—ჰფიქრობდა მართალი ფოკა.—ადგა ლოცვიდან და წავიდა თავის მტარ-ვალების გასაღვიძებლად.

— ადექით!.. დროა!.. მე თქვენ მოგიყვანეთ ფოკა.

— ფოკა?—წამოხტენ სალდათები. — სად არის ის?

— აქ, თქვენ წინ.

— აქ, სად?—იფშენტავდენ თვალებს ახლად-გაღვიძებული სალდათები.—აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და შენ.

— აი სწორეთ მე ვარ ფოკა, რომელსაც თქვენ ეძებთ.

— შენ ხუმრობ! უგუნური ხუმრობაა!—ჯავრდებოდენ სალდათები.—ტყუილად გაგვაღვიძე, ტკბილი ძილი გაგვაწყვეტინე.

— მე მართლა ვამბობ. ამის მოწამე საფლავია, რომელიც მე ამოვთხარე, მანამ თქვენ გეძინათ.

სალდათები გაშტერდენ. წავიდენ ბაღში, ნახეს,—მართალია, ახალი საფლავი დახვდათ. უყურებენ ერთმანეთს, უყურებენ ფოკას და ვერ გამორკვეულიყვენ. შეკრთომილები ეუბნებოდენ:

— იცოდი, რომ ჩვენ მოვედით შენ მოსაკლავად: შენ კი მიგვიღე ჩვენ, როგორც მეგობრები, როგორც ძმები! თავისუფალი იყავი მთელი ღამე, და კი არ გაიქეცი! რა კაცი ხარ შენ? რამ დაგიჭირა?

— მე ქრისტიანი ვარ; მე დამიჭირა იმან, რაც ჯაჭვზე მაგარია,—სინიდისმა.

სალდათებს ვერ გადაეწყვიტათ ფოკას მოკვლა. მათ უფროსს უნდოდა წაეყვანა იგი ქალაქში.

— ღაე იყვეს, რაც იქნება,—ამბობდა ის,—ჩვენ კი არ შეგვიძლიან შენი დასჯა! იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ აქ შენთან, ხელი აღარ გვემოდჩილება.

— ნუ წამიყვანთ ქალაქში,—სთხოვდა მართალი ფოკა. აქ, ბაღში უფალმა მომცა მე სიხარული შრომისა დასამშვენებლათ ღვთის ბაღისა ხალხის გულში; აქვე მინდოდა მე ჩამეყარა ჩემი ძვლები. შეასრულეთ თქვენი საქმე, და დამტოვეთ მე ჩემს ბაღში ახალ გაღვიძებამდის. გთხოვთ მომცეთ ეს ნუგეში.

მხედრებმა შეასრულეს თხოვნა მოწამისა. საფლავის ნაპირზე მოსჭრეს მას თავი და მოწიწებით ჩაფლეს მისი გვამი საფლავში.

ამნაირათ, ღვთის მებაღემ, ფოკამ მრრწყო ბოლოს ქრისტეს გულისთვის, მოწამებრივი სისხლით ის მიწა, რომელსაც ის წინა წლებში, ქრისტეს იმავე სიყვარულის გულისთვის, რწყავდა თავისი შრომის ოფლით ხალხის სასიხარულოთ და ცხოვრების დასამშვენებლათ.

მღვ. იოანე ლუკიანოვი.

კვირიდამ-კვირამდე.

გადაიწვა ალისუბნის მეორეკლასიანი შკოლის შენობა თავის ავეჯეულობით. ზარალი დიდია. მიზეზი გამოურკვეველი დარჩა.

ჩამოვიდა სინოდის მიერ გამოგზავნილი სასულიერო სასწავლებლების რევიზორი.

ყოვლადსამღვდელო გიორგის უთხოვნია სემინარიის რექტორისთვის, რომლის ხელშიაც არის იმერეთის სამღვდელოების სამარხი კასის წესდება, დააჩქაროს მისი განხილვა და დანიშნულებისამებრ გადაცემა.

ქალაქ მოსკოვში ამ ჟამად სტაროობრიადცების კრებაა. ამ კრებას ცნობა მოსელია, რომ დასავლეთ მხარეების სტაროობრიადცებს გადაუწყვეტიათ შექმნან მთელი რუსეთის სტაროობრიადცების ორგანიზაცია, რომელიც მომავალ არჩევნებზე ხელმძღვანელობას გაუწევს მათ და ეცდება თავის კანდიდატი გაიყვანოს სახელმწიფო სათათბიროში.

ამასწინათ სტაროობრიადცების სხვადასხვა ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს სინოდს, რომ ნება დაერთო პროტოპოპ ამბაკუმის (ერთი უმთავრესი მოთავეთაგანი იყო) საფლავზე ჯვარის დადგმაზე, მაგრამ სინოდმა უარი უთხრა. ეხლა მოსკოვის კრებამ წინადადება მისცა ამ ორგანიზაციებს მიმართონ შინ. საქ. მინისტრს და არა სინოდს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვს სტაროობრიადცებთან.

მოსკოვში ხმა გავრცელდა, რომ წრეულს საშვალო სასწავლებლებში ეგზამენები 12 და უმაღლესში 1 მაისისთვის უნდა დასრულდესო.

ანტონ ვოლინელი შესაძლებელად სცნობს ახლავე დაინიშნოს რუსეთის პატრიარქი მეფის ბრძანებით. უპატრიარქოთ არც ადგილობრივი კრება შესდგება მისი აზრით, რადგან კრების მომწვევი და ხელმძღვანელი პატრიარქია. პატრიარხობა რუსეთში არ მოსპობილა, მხოლოდ დროებით დარჩა შეკრული პეტრე დიდის რეგლამენტის ძალითო, ამბობს იგი. თუ პეტრეს უფლება ჰქონდა ასეთი არა ღვთის-სასიამოვნო საქციელი ჩაედინა ეკლესიის მიმართ, ვინ დაუშლის და რამდენათ ღვთის სასიამოვნო საქმე იქნება ამ საქციელის გასწორება ხელმწიფისაგან, რომელსაც შეუძლია დღესვე დაასახელოს პატრიარქად ან პეტერბურგის და ან მოსკოვის მიტროპოლიტი. ამის შემდეგ ქრისტიანული ძმათმოყვარეობა აფიქრებიებს სახელმწიფოს თავს და ეკლესიის თავს, გამოითხოვონ ამის შესახებ აღმოსავლეთ პატრიარქების ლოცვა-კურთხევა. (У. Р. № 34)

სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქმნა კანონპროექტი შესახებ სამხედრო გადასახადისა. ამ კანონპროექტის ძალით ექვს-ექვსი მანეთი გადახდება 4 წლის განმავლობაში ყველას, ვინც სამსახურით ან რომელიმე სხვა მიზეზის გამო განთავისუფლდა სამხედრო სამსახურისაგან. ამ გადასახადიდან მოელიან 13 მილიონ მანეთიან შემოსავალს, რომელიც სამსახურ შესრულებულ სალდათების საპენსიო თანხაში შეირიცხება.

სამმა მანდილოსანმა, რომლებიც ილიოდორეს სული წმიდის სავანეში ცხოვრობდენ და რომლებიც ეტაფით გაგზავნეს თავთავის ქმრებთან, უჩივლეს სარატოვის კონსისტორიას 16 ათასი მანეთი, რომელიც ილიოდორეს აუღია მათგან მონასტერში ცხოვრების უფლებისათვის. ეს ფული მონასტერში არ აღმოჩენილა.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მისმა მეუფებამ ეპისკ. დავითმა სამასი მანეთი შესწირა სოფ. პატარა ჯიხაიშის სამრევლო ეკლესიის გასამშვენებლათ.

შინაური საქმეების რედაქციამ ნებართვა გამოითხოვა მისი მეუფების ყოვლადსამღვდელო გიორგისაგან შესახებ გამოკრებილი კურთხევანის დაბეჭდვისა კერძო პირებზე გასაყიდლათ. მისმა მეუფებამ თავის მხრით ნება დართო და შუამდგომლობა აღძრა სინოდის კონტორის წინაშე. განძრახულია თითეული მღვდელმოქმედების წესი ცალკე წიგნაკათ გამოიცეს. თუ კონტორამ ნება არ დართო, რედაქცია მხედრული ასოებით შეუდგება ამ წიგნაკების ბეჭდვას.

რედაქციამ მიიღო ახალი საეკლესიო წიგნები სლოვენურ ენაზე. ეს წიგნები შეიცავს მთელ ღვთის მსახურებას დიდმარხვის პირველ კვირიაკისა და ვნების კვირისას. წიგნები ისეა შედგენილი, რომ თითეული დღის მსახურება სავსებით არის მოყვანილი, ასე რომ ამ წიგნებთან საჭირო აღარ არის არც ჟამნ-დავითნი და არც მარხვანი. რამდენათ საჭიროა ჩვენი სამღვდელოებისთვის ასეთი წიგნები დღეს, როცა ტიბიკონის ცოდნა ასე დაეცა, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. რედაქცია ფიქ-

როსბს ეს წიგნები ქართულად გამოსცეს. საჭიროა ვიცოდეთ, როგორ შეეგებება სამღვდელოება ამ გამოცემას.

გამოვიდა ახალი წიგნაკები „შინაური საქმეების“ გამოცემა: „პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე“ ფასი ორი შაური და ნინოობა და მისი მნიშვნელობა“ ფასი ერთი შაური. აგრეთვე მზადდება და მალე გამოვა ბატ. ჯაფარიძის წიგნაკი „ბუნება და ადამიანი“.

ძმობის სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა „ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“—თხზულება დ. უზნაძისა. წიგნი თანამედროვე პედაგოგიკის უკანასკნელი სიტყვაა და კარგი ქართული ენით არის დაწერილი. იგი აუცილებელი სამაგიდე წიგნია ყველა მასწავლებლებისათვის. წიგნის დაკვეთა ეხლავე შეიძლება „შინაური საქმეების“ რედაქციაში-

---

უწ. სინოდს ნება დაურთავს გაიყიდოს ქუთაისის საკრებულო ტაძრის კუთვნილი ადგილები ქ. ქუთაისში მოიჯარადრეებზე უვადროთ, როგორც შეფასებულია, სულ 18136 მ. და 5 კ.

ბ. ფილიპე მგალობლიშვილი საჩხერის ეკლესიის აშენებაზე მიღებულ შრომისათვის დაუჯილდოებიათ მეორე ხარისხის სტანისლავის ორდენით.

ამ წლის სამღვდელოების ჯამაგირების კრედიტი ჯერ კიდევ არ გაუხსნიათ. ეს იმის ბრალია, რომ სამღვდელოების ჯამაგირს ათასნაირი სხვადასხვა გადასახადები ადევს და კანცელარიაში ანგარიშები ძნელდება. ურიგო არ იქნებაო, ამბობენ, ჯამაგირებს გაათავისუფლებდენ და გადასახადებს ბლალოჩინების საშვალებით აიღებდენო. ან რა გამოსარიცხავია ჯამაგირებიდან გაზეთის ფული, რომელიც ეკლესიის ფულით იწერებაო. კარგი იქნება ამის შესახებ სამღვდელოება ხმას ამოიღებდეს და რამე ერთ გარკვეულ გზას დაადგებოდეს.

როგორც გაზ. კოლხიდა გადმოგვცემს, მღ. მ. კელენჯერიძეს მადლობას სწირავს პეტერბურგის ფსიხო-ნერვოლოგიური ინსტ. ქართ. ტუდ. სამეცნიერო წრე და წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა თავის ნაწარმოების შეწირვისათვის.

როგორც „სახალხო გაზეთი“ გვატყობინებს, 23 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეებმა არეულობა მოახდინეს. ამ ამბავს პოლიციის ცნობა ამნაირად გადმოგვცემს: „დილით 23 თებერვალს, ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირველ, მეორე და მესამე კლასის მოსწავლენი (რუსებისა და ბერძსების გარდა) სემინარიის ტალანში (კორიდორი) მოგროვდნენ და კლასებში გაკვეთილებზე შესვლა არ მოისურვეს. რექტორისა და სემინარიის ინსპექციის თხოვნა-დარიგებამ არ გასჭრა: მოსწავლეებმა ხმაურობა ასტეხეს და სხვა და სხვა მოთხოვნილების წარდგენას აპირობდნენ. რადგანაც მოსწავლენი სემინარიის მთავრობას არ დაემორჩილნენ, სემინარიის შენობაში მოწვეულ იქმნა პოლიციელთა რაზმი. მივიდა პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი ზასიპკინიც, რომელმაც მოსწავლეებს გადაჭრით გამოუცხადა, არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავ თქვენთანაო. ამასთანავე გადაჭრითვე მოსთხოვა, დაშლილიყვნენ და კლასებში შესულიყვნენ. მოსწავლენი ამ მოთხოვნას დაემორჩილნენ. ამის შემდეგ პოლიცმეისტერმა ყველა განყოფილება სათითაოდ მოიარა და მოსწავლეებს წინადადება მისცა, განცალკევებულიყვნენ ისინი, ვისაც სწავლა არ უნდოდა. გამოირკვა, რომ სწავლა ყველასა სურდა. სამსავე კლასში სწავლა დაიწყო და წესიერება აღარ დარღვეულა. პოლიციამ შეიპყრო 15 მოსწავლე. მათ ბრალდებათ არეულობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება.

რედაქტორი, მღვდელი **ს. მჭედლიძე.**
გამომცემელი **იოსეგ ლეჟავა.**

ქ. ქუთაისი, სტამბა „ძმობისა“. კაზაკოვის შესახვევში, სახლი № 17.